პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 110 (9886) | სამშაბათი, 11 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმე. — მთელი ყურადღება სიმინდის თესვას. **ვ. გელაშვილი.** — სოფლის კომუნისტები. **მ. არაშიძე.** — იბრძვიან გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. **რ. დავითური.** — ბოლო მოვუღოთ პოლიტიკური აგიტაციის შეუფასებლობას (მე-2 გვერდი).

ი. მოსაშვილი. — როგორ მოვაწყოთ ცხვრის გამგზავრება საზაფხულო იალაღებზე (მე-3 გვერდი).

ა. სპეროზაშვილი. — სატრაქტორო ბრიგადები (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას. — დავიცვათ სასუფთავე. ... არა აქვს თბილისს ცნობათა ბიურო. ... გვის შედეგად (მე-3 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი. ფამ ვან დონგის განცხადება. ვ. მ. მოლოტოვის განცხადება (მე-4 გვერდი).

ყოველი ღონისძიებით ვაუმჯობესოთ სახელმწიფო აპარატის მუშაობა

ჩვენი დიდი საბჭოთა სახელმწიფო ახალი მძლავრი აღმავლობის გზით მიდის. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ყველა საბჭოთა ადამიანი აქტიურად ჩაებნენ იმ ეპოქმარიტად ისტორიული ამოცანების სწრაფად გადაჭრისათვის ბრძოლაში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს. არ ანელებენ რა ყურადღებას მძიმე ინდუსტრიის განვითარებისადმი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ძლიერების საფუძველთა საფუძველია, პარტია და მთავრობა აწყობენ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ გადიდებას ისე, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში საკმარისად უზრუნველვყოთ მოსახლეობა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლით, გადაჭრით ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე.

იმისათვის, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას აქვს, საჭიროა მუდმივ ვაუმჯობესებდეთ და სრულყოფდეთ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობას. ამოცანა ის არის, რომ სულ უფრო სრულად განვახორციელოთ პრინციპები, — რომლებიც დიდ ლენინს მიაჩნდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ფუძემდებელ პრინციპებად, — კავშირი ხალხის. ფართო მასებთან, ეკონომიურობა, შემოქმედებითი ინიციატივის წახალისება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის ყოველი ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ.

საბჭოთა სახელმწიფო აპარატს მთლიანად, უეჭველია, დიდი წარმატებანი აქვს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში. მაგრამ არასწორი და მავნე იქნებოდა მოვხიბლულიყავით წარმატებებით და მის მუშაობაში არ დაგვენახა სერიოზული ნაკლოვანებანი. არ შეიძლება აგრეთვე დავივიწყოთ, რომ განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნები სახელმწიფო აპარატისადმი.

პარტიამ გამოააშკარავა სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენი სახელმწიფო აპარატის ზოგიერთი რგოლის საქმიანობაში. ბევრი საბჭოთა და სამეურნეო ორგანო მუშაობს ბიუროკრატულად, დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და საწარმოებს ხელმძღვანელობს კანცელარიულად — მიმოწერის მეთოდებით, ღრმად არ სწვდება საქმის არსს. შეიქმნა არასწორი პრაქტიკა, როცა ბევრი დაწესებულების მუშაკები ძირითად ღონისძიებებს ახმარენ არა ცოცხალ ორგანიზაციურ საქმიანობას, რომლის მიზანია წარმოების შემდგომი აღმავლობა, არამედ მრავალი სხვადასხვა დირექტივის, განკარგულებისა და ბრძანების, ყოველგვარი ცნობების შედგენას, მრავალი ხსდომისა და თათბირის მოწყობას, რომლებიც ადამიანებს წყვეტენ პრაქტიკულ მუშაობას.

ცნობილია, რომ იქ, სადაც ყოველდღიური ცოცხალი ხელმძღვანელობა, ადგილებზე საქმის მდგომარეობის ღრმად შესწავლა იცვლება ქაღალდების თხზვით, — იქ აუცილებელია მუშაობის ჩაშლა. ამას მოწმობენ ფაქტები, რომლებიც მოყვანილია დღეს გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მოლდავეთიდან. ბიუროკრატიზმი, ხელმძღვანელობის კანცელარიული სტილი, როგორც ნათქვამი იყო პარტიული კომიტეტების ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ პლენუმებზე, ძლიერ იგრძნობა ჩელიაბინსკის, ვლადიმირის, კუიბიშევის, ხარკოვისა და ზოგი სხვა ოლქის საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში.

სერიოზულ ბიუროკრატულ დამახინჯებებს ვხვდებით სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს მუშაობაში. უკანასკნელ დრომდე ამ სამინისტროს სტრუქტურა მეტისმეტად დიდი და მოუქნელი იყო. საკმარისია ითქვას, რომ სამინისტროს ჰქონდა 514 სამმართველო, განყოფილება და სექტორი; აქედან 194-ში 2-3 თანამშრომელი იყო. გასული წლისა და 1954 წლის იანვრის მანძილზე შემოსული და გასული ფოსტის რაოდენობამ სამინისტროში შეადგინა მილიონნახევარზე მეტი დოკუმენტი ანუ დღეში 5 ათასი. იმავე პერიოდში სამინისტრო ყოველდღე უგზავნიდა თავის სამშენებლო ორგანიზაციებს 2.350 სხვადასხვა განკარგულებას, მითითებასა და წერილს. ფართოდ არის გავრცელებული სამინისტროს შიგნით — სამმართველოებსა და განყოფილებებს შორის მიმოწერა. კანცელარიულ-სასხდომო სტილი ახასიათებს სამინისტროს კოლეგიასაც. კოლეგიის ზოგიერთ სხდომაზე „განხილულია“ 30-მდე საკითხი. მუშაობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდების შედეგად სამინისტროს სისტემის სპეციალისტების დიდი ნაწილი მუშაობს სამმართველო აპარატში და არა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდების შედეგად ჩვენი საბჭოთა აპარატის ზოგიერთი მუშაკი, ნაცვლად იმისა, რომ მასებთან მჭიდროდ დაკავშირებული ცოცხალი ორგანიზატორი იყოს, ხდება ცხოვრებას მოწყვეტილ ჩინოვნიკად, რომელიც საქმეს არ იცნობს, მაგრამ მზად არის დირექტივები გასცეს ყოველ საკითხზე. სახელმწიფო აპარატის ზოგიერთი რგოლის მუშაობის ბიუროკრატულ დამახინჯებათა წინააღმდეგ, მთელ რიგ უბნებზე ჩამორჩენილობისა და თავმინებებულობის წინააღმდეგ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პარტიისა და ხალხის ნაკადი იარაღი — კრიტიკა და თვითკრიტიკა. ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა, გადაჭრით გამოვაშკარაოთ ნაკლოვანებანი და ვიბრძოლოთ მათი აღმოფხვრისათვის. საჭიროა აგრეთვე გავაუმჯობესოთ კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების საქმე საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტრომ. ეს სამინისტრო კი დღემდე არ მუშაობს ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. იგი მტკიცე ბრძოლას არ ეწევა ზედმეტი შტატების წინააღმდეგ, სახელმწიფო აპარატის გაიაფებისათვის, მისი ცალკეული რგოლების ზედმეტი მრავალსაფეხურიანობის ლიკვიდაციისათვის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის. სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს შედარებით წვრილმან დარღვევებსა და უწესივრობას სახელმწიფო აპარატში და გვერდს უვლის სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის დიდ, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს, რაციონალიზაციისა, რომელიც შრომისა და მატერიალური სახსრების უდიდეს ეკონომიას მისცემდა სოციალისტურ სახელმწიფოს.

სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოხდა ზოგიერთი სამინისტროს დაყოფა. ამ ღონისძიების მიზანი ის არის, რომ სამინისტროებმა გაუმჯობესონ თვითეული საწარმოსადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა, უხელმძღვანელონ მათ ოპერატიულად, დროზე გადაწყვეტონ წამოჭრილი საკითხები, ჯეროვნად იბრძოლონ იმისათვის, რომ გავრცელდეს და წარმოებაში დაინერგოს მოწინავე გამოცდილება, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები.

მაგრამ სამინისტროთა დაყოფა სულაც არ გულისხმობს აპარატის გადიდებას, მისი შესანახავი ხარჯების ზრდას. პირიქით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გეზი ის არის, რომ თანმიმდევრულად და განუხრელად შევამციროთ სახელმწიფო, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატი, შევამციროთ მისი შესანახავი ხარჯები. დაუშვებელია, რომ შტატების შემცირების დროს ზოგიერთ სამინისტროში აპარატის შესანახავი ხარჯები არათუ მცირდება, არამედ კიდევაც დიდდება.

ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში ყოველი აპარატის შექმნის ერთადერთი სწორი პრინციპია საზოგადოებრივი შრომის აუარათიანად, მზრუნველად, მომჭირნეობით გამოყენების პრინციპი. ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის გაბერვა ზარალს აყენებს წარმოების განვითარების ინტერესებს. უშუალოდ წარმოების მუშაკთა რიცხვსა და მმართველობისა და მომსახურების სფეროს მუშაკთა რიცხვს შორის არსებული თანაფარდობა შემდგომ კორექტივებს მოითხოვს მატერიალური წარმოების სფეროს სასარგებლოდ.

ახლანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხს, რომ სერიოზულად გაძლიერდეს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო დაუდევრობას, სახელმწიფო დისციპლინის ყოველგვარ დარღვევას, სახელმწიფო დავალებათა შესრულებისადმი უპასუხისმგებლო, ფორმალურ დამოკიდებულებას.

საბჭოთა სახელმწიფო მტკიცე დისციპლინასა და ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციას ახამებს მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების უნართან. დიდმა ლენინმა თქვა, რომ ჩვენში, ჩვენს მშენებლობაში უნდა გვქონდეს ძირითადისა და მთავარის ერთიანობა, მაგრამ ამასთანავე დიდი მრავალფეროვნება უნდა იყოს საკითხთა გადაწყვეტის საშუალებებში, საქმისადმი მიდგომის ხერხებში. ახლა, როცა პარტია კომუნისტური მშენებლობის გიგანტურ ამოცანებს ახორციელებს, განსაკუთრებით საჭიროა განვავითაროთ მასების ინიციატივა, მივცეთ მას უაღრესად ფართო გასაქანი, მხარი დაუჭიროთ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს.

სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიულ ორგანიზაციებს. მათი ამოცანაა — ღრმად ჩასწვდნენ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობას, გადაჭრით აამაღლონ საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის დონე. საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა იყვნენ დამცველნი ნამდვილი ხალხური წესებისა ჩვენს დაწესებულებებში, გამოააშკარაონ და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მუშაობაში, ამხილონ, დღის სინათლეზე გამოიყვანონ ბიუროკრატები, ჩინოვნიკები, კარიერისტები. დაწესებულებათა პარტორგანიზაციების საქმიანობა ფასდება არა დეკლარაციებითა და რეზოლუციებით ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, არამედ რეალური, უბრალო და ყოველდღიური საქმეებით, რომლებიც აუმჯობესებენ აპარატის მუშაობას.

საბჭოთა სახელმწიფო აპარატმა სულ უფრო დიდი როლი უნდა შეასრულოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. მისი მუშაობის გაუმჯობესება და შემდგომი სრულყოფა იმის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ წარმატებით განხორციელდეს პოლიტიკა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა და რომლის მიზანია საბჭოთა ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება.

„პრავდის“ 10/V მოწინავე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1954 წლის 27 მაისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ძვლიშვილი.**

ქ. თბილისი. 1954 წლის 8 მაისი.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

მეოთხე საკავშირო ჯილდო

ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაღალი სამეურნეო წარმატებები მოიპოვა პირველ კვარტალში, 103,3 პროცენტით შეასრულა მზა პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა, დაზოგა დიდძალი ნედლეული და ელექტროენერგია, სახელმწიფოს მისცა 60 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ამ დღეებში ქარხანაში მიიღეს სსრ კავშირის ასასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის დეპეშა, რომლითაც იგი ინტერნაციონალურ ... ...

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმე

მთელი ყურადღება სიმინდის თესვას

მთელ ჩვენს რესპუბლიკაში გაჩაღებულია მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე.

ცხადია, რომ მხოლოდ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით შეძლებენ რაიკომები და ინსტრუქტორთა ჯგუფები მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

რაიონული პარტიული აპარატის მუშაობის ახლებურად გარდაქმნა დადებითს გავლენას ახდენს საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობაზე. ამას ცხადყოფს გამოცდილება პარტიის მთელი რიგი რაიკომებისა, სადაც გარდაქმნა მოხდა არა ფორმალურად, არამედ არსებითად, რის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა მასებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე. ამ რაიონების კომუნისტებმა გამოიყენეს არსებული შესაძლებლობანი და უკვე შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების, მათ შორის სიმინდის თესვის სახელმწიფო გეგმები.

აჭარის პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო კვალიფიციურად ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობას, ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით აჩქარებენ საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპს. 5 მაისისათვის აჭარის კომუნისტებმა სიმინდის თესვის გეგმა 67,3 პროცენტით იყო შესრულებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამავე რიცხვისათვის სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის დავალება 108,7 პროცენტით იყო განაღდებული.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პარტიის ზოგიერთი საოლქო და რაიონული კომიტეტი კვლავ ძველებურად, ფორმალურად მუშაობს. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის გაუპიროვნება და უპასუხისმგებლობა კომუნისტებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობაში. პარტიული მუშაკის საქმიანობის შედეგები განიზომება არა სხდომებისა და თათბირების რაოდენობით, არა მის მიერ გაცემული დირექტივებისა და დაპირებების სიუხვით, არამედ იმით, თუ რა გააკეთა პრაქტიკულად საგაზაფხულო სამუშაოთა დასაჩქარებლად, კერძოდ სიმინდის თესვის გეგმის შესასრულებლად. ეს პირდაპირ შეეხებათ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაკებს, რომლებმაც ცოტა სხდომა და თათბირი როდი მოიწვიეს საგაზაფხულო სამუშაოთა დაჩქარების საკითხებზე. მაგრამ რა პრაქტიკული შედეგები მოგვცა ამ სხდომებმა და თათბირებმა? 5 მაისისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სიმინდის თესვის გეგმა მხოლოდ 12,5 პროცენტით იყო შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მარტის ბოლო რიცხვებში გაიმართა, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე ამბობდა: „სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის დანერგვას და ყანების დამუშავების ყოველმხრივ მექანიზაციას“. თესვის პროგრესული მეთოდების აგიტაცია ცუდი არ არის. მაგრამ მაინც ეს იყო სიტყვები, პრაქტიკული შედეგები კი სამარცხვინოა: 5 მაისისათვის სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის გეგმა აფხაზეთში სულ როგორც 2,5 პროცენტით იყო შესრულებული.

რაიონული კომიტეტის მთელი საქმიანობის წარმატებას განსაზღვრავს ის, თუ როგორ ხელმძღვანელობს იგი ბრძოლას პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, როგორ ასრულებს ხავის დაპირებას. როგორც ჩანს, ეს დაივიწყეს პარტიის მახარაძის რაიკომის მუშაკებმა. რაიონში შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს სიმინდის თესვა. ამას წინათ საქართველოს კ. პ. მახარაძის რაიკომის პლენუმმა მიიღო მიმართვა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელებისადმი. ამ მიმართვაში, რომელსაც სხვებთან ერთად პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძეც აწერს ხელს, ნათქვამია, რომ მახარაძელები გადაჭარბებით შეასრულებენ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის გეგმას. რობგორ სრულდება ეს ვალდებულება? ძალიან ცუდად — აქამდე ერთი ჰექტარიც არ არის დათესილი კვადრატულ-ბუდობრივი წესით!

სიმინდის თესვას არაოპერატიულად, ზერელედ ხელმძღვანელობენ აგრეთვე ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხობის, ცხაკაიას და ზოგიერთი სხვა რაიონის პარტიული კომიტეტები. ამის შედეგად ამ რაიონებში დიდად ჩამორჩება საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობა, კერძოდ სიმინდის თესვა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ პარტიის მთელმა რიგმა საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა დანაშაულებრივად შეასუსტეს ყურადღება სიმინდის თესვისადმი. პირველ ხანებში ისინი თავს ცუდი ამინდებით „იმართლებდნენ“, ხოლო ახლა, როცა თესვის ვადები იწურება, გაიძახიან: სიმინდის თესვაში გვაღლვა გვიშლის ხელსო. მაგრამ ამინდი არაფერ შუაშია. ფაქტი ის არის, რომ ბევრგან პარტიული კომიტეტები სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ სიმინდის თესვას, არ იყენებენ ყველა შესაძლებლობას და სამუშაოებს, არ რაზმავენ კოლმეურნეებს, მექანიზატორებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მშრომელთა აქტივობას და უზრუნველყონ საგაზაფხულო თესვის რაც შეიძლება მოკლე ვადაში დამთავრება. პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება სიმინდის თესვას — ასეთია ამოცანა.

ლაგოდეხის მტს-ში მექანიზატორთა შორის ფართოდ არის გაჩაღებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. **სურათზე:** მტს-ის პარტბიუროს მდივანი ზ. კევლიშვილი მექანიზატორებთან მორიგ საუბარს ატარებს.

ბოლო მოვუღოთ პოლიტიკური აგიტაციის შეუფასებლობას

ბოლნისში, ისევე როგორც სხვა რაიონებში, მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები.

საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას სათავეში უდგანან კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი მინდვრად, საწარმოო ბრიგადებში გადაიტანეს.

ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია მუშაობას წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით წარმართავს. აგიტატორები მართავენ საუბრებს, კითხულობენ გაზეთებს, აცნობენ კოლმეურნეებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის პირობებს. საინტერესოდ და შინაარსიანად აწყობენ საუბრებს აგიტატორები ს. სტეფანია და ლ. ისიანი.

კოლმეურნეობის ბრიგადებში ხშირად შეხვდებით აგიტატორებს — შ. ლომსაძეს და კოლმეურნეობის აგრონომს ს. თოფურიძეს, რომლებიც მოწინავეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდას ეწევიან, კოლმეურნეებს დამაჯერებლად, ცოცხალი მაგალითებით განუმარტავენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერებამ მინდვრად, უშუალოდ საწარმოო ბრიგადებში აამაღლა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა და ხელი შეუწყო საერთო საქმიანობის გაუმჯობესებას. კოლმეურნეობამ თავთავიანი კულტურების საგაზაფხულო თესვა მოკლე დროში დაამთავრა. ასევე დროზე დათესა და დარგო მრავალწლიანი ბალახები, საკვები ძირხვენები და კარტოფილი. მთლიანად დამუშავებულია ვენახები. მთავრდება სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა და სხვა სამუშაოები.

მინდვრად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს ბევრ სხვა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას. განსაკუთრებით საყურადღებოა წითელსოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა.

მაგრამ ასე როდია რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკური აგიტაციის შეუფასებლობას იჩენს. ასეა, მაგალითად, სოფელ კაზრეთის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობა ჩამორჩენილთა რიგებშია, საგაზაფხულო კულტურების თესვა აქ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ხშირია აგროტექნიკური წესების დარღვევის შემთხვევებიც. ყველა ეს ნაკლი იმითაც არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი კ. მაღრაძე) არ ზრუნავს კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მათი პოლიტიკური აღზრდისათვის. კოლმეურნეობაში ჩაშლილია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

პოლიტიკური მუშაობა უკეთესად არც რაიონის მექანიზატორთა შორის არის დაყენებული. მინდვრად გასული ტრაქტორისტები მოწყვეტილი არიან პოლიტიკურ ცხოვრებას. მტს-ების პარტიული ორგანიზაციების აგიტატორები უმოქმედობენ, არაგულისხმიერად ეკიდებიან მათთვის დავალებულ საქმეს. მტს-ებში ყურადღება არ ექცევა კედლის გაზეთებსა და „საბრძოლო ფურცლების“ გამოცემას, ტრაქტორისტთა შორის არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ თამარისის მტს-ის 66 ტრაქტორისტიდან ცვლის ნორმებს მხოლოდ 8 ტრაქტორისტი ასრულებს. ასეთივე მდგომარეობაა ბოლნისის მტს-შიც.

პარტიის ბოლნისის რაიკომის მუშაკები იშვიათად დადიან კოლმეურნეობებში და მტს-ებში, ნაკლებად იცნობენ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, სწორი წარმოდგენა არა აქვთ კოლმეურნეობებში საქმის ფაქტიურ მდგომარეობაზე. რაიკომი ურიგდება იმას, რომ ბევრმა აგიტატორმა შეწყვიტა მუშაობა, არ მართავს საუბრებს, არ კითხულობს გაზეთებს კოლმეურნეებთან. რაიკომის მუშაკები და მტს-ების პარტიული ორგანიზაციების მდივნები ჯერ კიდევ მთლიანად არ განთავისუფლებულან ხელმძღვანელობის არასწორი სტილისაგან, ისინი ივიწყებენ, რომ სამეურნეო წარმატებებს მასებში ყოველდღიური პოლიტიკური მუშაობა განაპირობებს.

რ. დავითური,

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

იბრძვიან გამოუვნაში მორიგებულ-ბუნების მოპოვებისათვის

დიდი და მრავალდარგოვანია სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა. მის ტერიტორიაზე, გარდა ჩაის კულტურისა, გაშენებულია ტუნგო, ბამბუკი, ხეხილი, ვენახი. სათუთად მოვლილი ჩაის ბუჩქები უხვ მოსავალს იძლევიან. შარშან აქ მოსავლიანი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 5.200 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს და სამშობლოს მილიონობით მანეთი მოგება მისცეს. ამ მიღწევებისათვის საბჭოთა მეურნეობა წარდგენილია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ფართო ჩვენებით.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში მოპოვებული სამაგალითო მიღწევები იმ სერიოზული მუშაობის შედეგიც არის, რასაც მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ეწევა შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, მასებში შეგნებული დისციპლინის განსამტკიცებლად, მეჩაიეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის.

კომუნისტები და კომკავშირელები საწარმოო უბნების მიხედვით მიხანშეწონილად არიან განაწილებული. საბჭოთა მეურნეობის I, II, IV, V და VI აგროგანყოფილებებში შექმნილია პარტიული ჯგუფები. ისინი სრულ პასუხისმგებლობას გრძნობენ განყოფილებების სამეურნეო მდგომარეობისათვის. კომუნისტები შრომის ავანგარდში არიან. მეურნეობის ხუთი სოციალისტური შრომის გმირიდან ოთხი კომუნისტია, ასევე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ხუთი კანდიდატიდან ოთხი კომუნისტია.

პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოლიტიკურ მუშაობას მასებში. მეურნეობაში 10 აგიტატორი და 22 მესაუბრე-წამკითხველი მუშაობს. ისინი გულდასმით აცნობენ მუშებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, საერთაშორისო ამბებს, თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ ადგილობრივ ცხოვრებას, ავლინებენ ახალ საწარმოო რეზერვებს და რაზმავენ მშრომელებს რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერებით მათი გამოყენებისათვის. ცოცხლად და საინტერესოდ აწყობენ საუბრებს აგიტატორები პ. თავართქილაძე, ი. მაზმანიდი, მ. ბესპალოვა, მ. სტოიკინა, მ. გოლიცინი, გ. ღლონტი, ა. მარინა, დ. პავლიშინა და სხვები. მათ მეჩაიეებს გააცნეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის პირობები და ახლა საუბრებს მართავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამას წინათ დამთავრებული სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

კომუნისტები, მთელი პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ მუშაობას ეწევიან ჩამორჩენილ აგროუბნებში, ეხმარებიან მათ დაწინაურებაში. მარტში მეოთხე აგროგანყოფილებაში თავი იჩინა მოდუნებულობამ. ცუდად ასრულებდნენ საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოებს, ნიადაგში დაგვიანებით შეჰქონდათ სასუქი, არღვევდნენ ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმების ვადებს. ღია პარტიულმა კრებამ მარტის შუა რიცხვებში განიხილა განყოფილების მუშაობის საკითხი. გამოირკვა, რომ აგიტატორებმა ა. პეევმა, დ. სპარიკინამ და სხვებმა სრულიად დაივიწყეს პოლიტიკური მუშაობა, აღარ მართავდნენ საუბრებს, ყურადღებას არ აქცევდნენ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, იმას, რომ ბევრ ბრიგადაში არ ზრუნავდნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად განყოფილებაში მდგომარეობა გამოსწორდა, აგიტატორებმა გააძლიერეს მუშაობა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დაჩქარდა და აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა.

პარტორგანიზაცია ზრუნავს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვისათვის. თუ შარშან მხოლოდ სამ მოწინავე მკრეფავს ჰქონდა მიჩენილი მაღალმოსავლიანი ნაკვეთი, წელს მათი რიცხვი 15-მდე გაიზარდა. კომუნისტები ანასტასია სობინა, ტატიანა შეველიოვა, მარიამ ბესპალოვა, ანა გარბუზოვა, კომკავშირელები ანა სტრეკოზოვა, ანა ბონდარენკო, ლიდა შელუსტი, უპარტიოები ანა პონომარენკო, ევდოკია რუსანოვა, პელაგია პახუმოვა და სხვები ცნობილი სტახანოველის, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატის მართა სტოიკინას მეთოდით მუშაობენ და იმისათვის იბრძვიან, რომ წელს ჰექტარზე მოკრიფონ 8-12 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ამას წინათ ღია პარტიულმა კრებამ ჩაის კრეფის სეზონისათვის მეურნეობის მზადყოფნის საკითხი განიხილა. მსჯელობაში კომუნისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს კომკავშირელებმა, უპარტიო ამხანაგებმა.

— ფოთოლი წყაროსავით მოდის, — ამბობდნენ კამათის მონაწილენი, — ერთ კვირაში ჩაი საკრეფი იქნება. ჩვენ კი ამისათვის მზად არა ვართ. არა გვაქვს საკმაო კალათები. პლანტაციებში გზები შეუკეთებელია, ყველა უბანში აშენებული არ არის ფარდული, წყაროებიც ამოსაწმენდია. მართალია, ყოველივე ეს დიდ შრომას არ მოითხოვს, მაგრამ თუ ახლავე არ მოგვარდა, შემდეგში დიდად შეგვიშლის ხელს.

პარტიული კრების დადგენილების საფუძველზე მეურნეობაში გაჩაღდა ბრძოლა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შეძენილ იქნა 2.800 ცალი ჩაის საკრეფი კალათი, შეკეთდა სატვირთო ავტომანქანები, გზები და ბოგირები, ყველა უბანში აგებულია ფარდულები. და ახლა, როცა პარტბიუროს მდივანი სიმონ მეგრელიშვილი ხედავს და გრძნობს პარტიული კრების დადგენილების განხორციელებისათვის მთელი კოლექტივის, მისი ყველა წევრის თავდადებულ შრომას, გული სიხარულით ევსება. მას ღრმად სწამს, რომ ოჩხამურელი მეჩაიეები წელს კიდევ უკეთეს წარმატებებს მიაღწევენ და სასახელო მაჩვენებლებით წავლენ მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მ. არაბიძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სოფლის კომუნისტები

წერილი სტალინირის რაიონიდან

ხევში ჰიდროელექტროსადგურმა დაიწყო მუშაობა. ელხათურები აციმციმდნენ კოლმეურნეთა ბინებში, საზოგადოებრივ ნაგებობებში. სასიხარულო მოვლენამ კოლმეურნეობის ცხოვრებას საზეიმო ელფერი მისცა. სოფლის კომუნისტები კი, რომლებიც ჰესის მშენებელთა პირველ რიგში იდგნენ, უკვე ახალ საქმეებზე ფიქრობდნენ.

ელექტროენერგიის ბაზაზე ძარწემში, სტალინირის რაიონის ამ მთიან სოფელში, კომუნისტების ინიციატივითა და შრომითი მონაწილეობით ახლა უკვე მუშაობს სახერხი ქარხანა, წისქვილი.

კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში დღემდე მეტად სერიოზული ნაკლოვანებებია. განსაკუთრებით ეს ითქმის მეძროხეობის ფერმაზე, რომლის გამგედ ახალგაზრდა კომუნისტი ალექსანდრე გუნდიშვილი მუშაობს. მას მოსვენებას არ აძლევდა და არ აძლევს იმის შეგნება, რომ კოლმეურნეობის თითქმის ყველა დარგი სწრაფად, გეგმაზომიერად ვითარდება, მეცხოველეობა კი ძველ ადგილს ტკეპნის.

აი სოფელში მოვიდა ზოოტექნიკოსი მ. ხაჩატროვა. მისი შეხვედრა ფერმის გამგესთან იმით იყო სამახსოვრო, რომ იგი დამაჯერებლად მოუყვა მას იმავე სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკების გამოცდილებაზე, რომლებიც მოხერხებულად იყენებენ ელექტროენერგიას. სოფელ ძარწემის კოლმეურნეობა „სოციალისტური შრომის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა სამსონ ჭოველიძემ ფერმის გამგეს ურჩია წასულიყო და საკუთარი თვალით ენახა ყოველივე ახალი, რამაც ასე გაუთქვა სახელი ერედველებს.

ალექსანდრე გუნდიშვილმა ინახულა ერედვი.

— იქ ფერმებში მარტივად, მაგრამ აზრიანად არის მოწყობილი ყველაფერი! — მოუყვა იგი ამხანაგებს თავის შთაბეჭდილებას.

მეზობელ მოწინავე კოლმეურნეობაში კომუნისტმა ალექსანდრე გუნდიშვილმა ისიც ნახა, თუ რა კარგად უვლიან მოზარდეულს. ფერმის გამგე მოელაპარაკა კოლმეურნეობის გამგეობას, და მალე ხბოებისათვის ცალკე ბინა გამონახეს.

ძარწემი მთიან ზონაში მდებარეობს და ამიტომ იქ უკანასკნელ წლებში შეიქმა ტრაქტორი. სოფლის კომუნისტები მექანიზატორთა პირველი მეგობრები გახდნენ.

ბერიკაცები ტრაქტორის ერთი დღის ნამუშევარს ანგარიშობდნენ და გაკვირვებული რჩებოდნენ, თუ რამდენ გუთნეულსა და ადამიანს ცვლიდა ერთი მანქანა. სოფლის ახალგაზრდებიც გუნდ-გუნდად დასდევდნენ ტრაქტორს. ჭაბუკებს შორის იყო სერგო ჭოველიძეც, დაუზარებელი და გამრჯე გლეხკაცის — გეგნა ჭოველიძის შვილი. პირველი ბრიგადის ბრიგადირი კომუნისტი ივანე ჭოველიძე შეეკითხა ახალგაზრდას:

— აქ რას აკეთებ, ბიჭო?

პასუხი სერგოს მაგივრად ტრაქტორისტმა გასცა:

— მთელი დღეა დამდევს, მეხვეწება — ტრაქტორის მართვა მასწავლეო...

გეგნა ჭოველიძე ყოველთვის პატიკისცემით ეკიდება ბრიგადირის სიტყვას...

— ბიჭს სურს ტრაქტორისტი გახდეს, ნუ დაუშლი, წავიდეს მტს-ში სამუშაოდ, — ურჩევდა ბრიგადირი გეგნას.

გლეხკაცს რა ჰქონდა საწინააღმდეგო? თავის დღეში თვითონ მეურმე იყო, შვილი ტრაქტორის მართვას თუ ისწავლიდა, ეს კარგი იქნებოდა!

სიხარულით წავიდა სერგო ჭოველიძე მტს-ში. სულ იმ დღეზე ოცნებობდა, როდის ავიდოდა ძარწემში, როდის შეეჭიდებოდა თავისი ტრაქტორით მინდვრებს.

მეურმის შვილი ძარწემში ტრაქტორით დაბრუნდა. გაბედულად, თანაც ფრთხილად აამუშავა ტრაქტორი უსწორმასწორო ფართობებზე. ახალგაზრდა მექანიზატორმა დაუღალავი, ბეჯითი მუშაობით მთელი სოფლის სიყვარული მოიხვეჭა.

სოფელში ბევრია სახელოვანი ადამიანი. მოწინავეთა შორის მოწინავეა ბრიგადირი ივანე ჭოველიძე. მან დაასახელა საყურადღებო ციფრები და ფაქტები:

— ჩვენი ბრიგადა ვერასოდეს ვერ ასრულებდა მოსავლიანობის დავალებებს. მას შემდეგ, რაც ნიადაგის დამუშავება ტრაქტორებთ დავიწყეთ, ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა. შარშან შემოდგომაზე ტრაქტორისტების დახმარებით შემჭიდროებულ ვადაში და მაღალხარისხოვნად ვაწარმოეთ პურეულის საშემოდგომო თესვა. მექანიზატორები კვლავ დაგვეხმარნენ აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებაში. ჩემი ბრიგადისათვის მიჩენილი 79 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 15,5 ცენტნერის ნაცვლად მივიღე 16,4 ცენტნერი ხორბალი. ცალკეულ ჰექტარებზე პურეულის მოსავლიანობამ 22-23 ცენტნერს მიაღწია.

უკეთესი წარმატებანი აქვს მოპოვებული პურისათვის ბრძოლაში კომუნისტ ასატო გოგიძის ბრიგადას: 17,5 ცენტნერი პურეული თვითეულ ჰექტარზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია „გალავნის მიწები“, სადაც თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. ასეთი მაღალი მოსავალი არასოდეს არ მოუცია ძარწემის მიწას!

ციფრმა 30-მა ბრიგადირები ააფორიაქა. პარტიული ორგანიზაცია მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე მსჯელობის დროს ახლა ეყრდნობა რეალურ შესაძლებლობას. ამას წინათ სოფლის კომუნისტებმა იმსჯელეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებზე. კომუნისტებმა სწორი დასკვნები გააკეთეს...

— ახალი, დიდი ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო იზრდება მექანიზაციის როლი, მისი მნიშვნელობა გადამწყვეტია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. უნდა ვიზრუნოთ ჩვენს სოფელში მექანიზაციის შემდგომი გაფართოებისათვის, — განაცხადა ასატო გოგიძემ.

კომუნისტმა ბრიგადირებმა ი. ჭოველიძემ, ზ. მეტრეველმა, ა. გოგიძემ კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე დააყენეს საკითხი:

— პურეულის თესვა, სადაც ეს შესაძლებელია, აუცილებლად ჯვარედინად უნდა ვაწარმოოთ. ჯვარედინად თესვის უპირატესობაზე სოფლის აქტივთან და მექანიზატორებთან არაერთხელ უსაუბრია აგრონომ გ. ახვლედიანს. ამჯერად, იგრძნო რა სოფლის კომუნისტების პრაქტიკული მხარდაჭერა, აგრონომმა მეტი გაბედულება გამოიჩინა. თავიანთი სოფლის სიკეთით ღრმად დაინტერესებული ძარწმელი მექანიზატორებიც მთელი სიყვარულით მოეკიდნენ საქმეს. შარშან შემოდგომაზე ძარწემში პირველად მოეწყო პურეულის ჯვარედინი თესვა. ასე ჩაეყარა საფუძველი მიმდინარე წლის უფრო უხვ მოსავალს. აღსანიშნავია, რომ ძარწმელებმა საშემოდგომო ხორბალი გეგმის გადამეტებით 40 ჰექტარზე დათესეს.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის მოადგილე ივანე გოგიძე წვრილფეხა პირუტყვის ფერმის გამგეა. როცა ამ ფერმის მუშაობას ვეცნობოდით, ი. გოგიძემ პირველ რიგში ნაკლოვანებებზე ილაპარაკა, თან ასეთი შენიშვნა გააკეთა:

— აღიარება საქმეს არ შველის, სიძნელეთა წარამარა დასახელება ადამიანს აწვრილმანებს. რა გამოვა, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ნაცვლად თუ თავის მართლებაზე ფიქრს მოუნდი! წლების მანძილზე მეცხვარეობის ფერმაში მატყლის მიღების დავალებას ვერ ვასრულებდით. როცა მაკრიტიკებდნენ, მუდამ მწყინდა. ერთხელ ისიც ვიფიქრე, საქმეს გავეცლები-მეთქი. პარტიულმა კრებამ ფერმაში არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელა. საკითხი ყოველმხრივ იყო შესწავლილი. ვიგრძენი — ნამდვილ დახმარებას ვეღირსებოდი და საქმეზეც გული მომიბრუნდა. ყოველ საჭირო შემთხვევაში სპეციალისტს როდი ველოდები, თვითონ მივაკითხავ ხოლმე. შევიძინე ბროშურები, ველაპარაკე მოწინავე მეცხვარეებს, საქმეზე უფრო ნათელი წარმოდგენა შემექმნა. მეტი მზრუნველობით ვუვლით ცხვარს. საძოვრების მდგომარეობითაც დავინტერესდით. ცხვრის სულადობის ზრდის დავალება გადაჭარბებით გვაქვს შესრულებული. თვითეულ ცხვარზე შარშან გეგმის გადამეტებით 600 გრამი მატყლი მივიღეთ.

მეფრინველეობის ფერმაში საქმე ცუდად იყო და არის. პარტიულმა კრებამ არაერთხელ იმსჯელა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კომუნისტმა ივანე გოგიძემ შეამჩნია, როცა პარტიის რაიკომიდან მოვიდოდა კაცი და მეფრინველეობის ჩამორჩენაზე უკმაყოფილებას გამოთქვამდა, პარტბიუროში უჩვენებდნენ ოქმებს და დადგენილებებს, აცხადებდნენ, მეფრინველეობის საკითხი ყურადღების ცენტრში დგასო. მაგრამ დადგენილებათა სიმრავლით ხომ არ შეიძლებოდა გეგმის შესრულება? ამის შესახებ მორიგ პარტიულ კრებაზე გაბედულად ილაპარაკა ი. გოგიძემ. კრიტიკა სწორად გაუგეს, ყურადღებით მოისმინეს მისი საქმიანი სიტყვა:

— სულ მისაყვედურებთ, დახმარება კი არა ჩანს! ვხედავ — ლოდინსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. დავსვათ გამგეობის წინაშე საკითხი და მეფრინველეობის სადგომი უფრო მოხერხებულ ადგილას — სოფლის მდინარის ნაპირზე გადავიტანოთ.

დასაბუთებული წინადადება გამგეობამ, კოლმეურნეობის საერთო კრებამ მოიწონეს. მდინარის პირას ააშენეს საფრინველე. ამის შედეგად კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით მოაშენა ინვი. ფერმის გამგე ანგარიშობს, რომ უახლოეს ხანში დაძლევს ჩამორჩენას, რენტაბელურს გახდის მეფრინველეობას.

ყოველწლიურად დიდდება საკოლმეურნეო დოვლათი. სოფელ ძარწემის კოლმეურნეობაში გასულ წელს თვითეულ შრომადღეზე ავანსად გასცეს 4,5 კილოგრამამდე მარცვალი, მეცხოველეობის პროდუქტები და ფული.

სოფლის კეთილდღეობაში სერიოზული წვლილი შეაქვს საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას. კომუნისტები ისწრაფვიან უფრო გაუთქვან სახელი სოფელს, რომ დიდი ცხოვრების შეუჩერებელ წინსვლას მათი კოლმეურნეობაც მხარს უსწორებდეს.

ახლა ძარწემში სოფლის ყველა შრომისმოყვარე ადამიანი მინდორშია... იზრდება ჯეჯილი. გაზაფხულის პირველ დღეებშივე მას მიესალმა უხვი მოსავლის ოსტატის ხელი. მთელ ფართობზე მოეწყო ჯეჯილების დამატებითი გამოკვება მინერალური სასუქებით.

დღითიდღე სულ უფრო მუქდება, ტანს იყრის მწვანედ მოხასხასე ჯეჯილი. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მამაცურად, სამაგალითოდ შრომობენ მემინდვრეობის ის ბრიგადები, რომლებსაც კომუნისტები ივანე ჭოველიძე და ასატო გოგიძე ხელმძღვანელობენ. მათ სხვა ბრიგადებიც გაიყოლიეს. წინასწარ გულდასმით შედგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს მინდვრის სამუშაოები. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ზრუნვასთან ერთად ამ გაზაფხულზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს. ბრიგადებმა ათობით ჰექტარზე დათესეს საკვები ძირხვენები.

თავდადებით შრომობენ ვაზის ძარწმელი ოსტატები. მევენახეობის ბრიგადას უნარიანად ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი სამსონ ჭოველიძე.

კომუნისტების თაოსნობით სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ძარწმელებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობა.

დაიწყო დიდი და დაძაბული შრომა. დაიწყო მძლავრი ლაშქრობა 1954 წლის უხვი მოსავლისათვის. პატრიოტული შრომის ენთუზიასტთა პირველ რიგებში მტკიცედ დგანან ძარწმელი კომუნისტები.

ვ. გელაშვილი,

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოადგილე.

კონსულტაცია

როგორ მოვაწყოთ ცხვრის გამგზავრება საზაფხულო იალაღებზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებით დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეცხოველეობის, კერძოდ კი მეცხვარეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დასახულ ამოცანათა შორის, ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, ერთ-ერთი ძირითადი მომენტია ცხვრის მომთაბარეობის სწორი ორგანიზაცია. ამ საქმეში მეტად პასუხსაგები პერიოდია საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გამგზავრება, მით უმეტეს, როცა ხანგრძლივმა და მკაცრმა ზამთარმა მეცხვარეობაში მთელი რიგი სამუშაოები (ცხვრის საგაზაფხულო პარსვა და სხვ.) მნიშვნელოვნად ჩამოარჩინა.

საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გამგზავრებისათვის სათანადო ღონისძიებათა დროულად განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა. ცხვრის გადარეკვის სწორ ორგანიზაციაზე დიდად არის დამოკიდებული მიღებული ნამატის შენარჩუნება, მისი ნორმალური ზრდა-განვითარება, მგზავრობის პროცესში მატყლისა და ცოცხალი წონის დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანა.

ბარიდან საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გამგზავრების სწორი ორგანიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს უწინარეს ყოვლისა მგზავრობის გეგმის შედგენას. ეს გეგმა, რომელიც ამა თუ იმ რაიონის სპეციფიკური პირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს, საჭიროა ითვალისწინებდეს ყოველი ცალკე კოლმეურნეობის ცხვრის მგზავრობისათვის მზადყოფნის ვადას, ბარიდან ცხვრის აყრის კონკრეტულ თარიღს, სხვადასხვა კოლმეურნეობის ცხვრის ფარების მგზავრობის თანმიმდევრობას, ცხვრის გასავლელი გზების ყოველდღიურ მარშრუტებს და მათი აუცილებლად დაცვის საჭიროებას, მგზავრობის მთელი პერიოდისათვის კოლმეურნეობებიდან თითო პასუხისმგებელი პირის შერჩევას, რაიონიდან ერთი პასუხისმგებელი მუშაკის გამოყოფას საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად და სხვ. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე იმ აუცილებელ მომენტებს, თუ რომელი კოლმეურნეობის ცხვარი როდის უნდა ავიდეს მთაზე, სად და რომელ სასაძოვრო მასივებზე უნდა მოხდეს ფარების განლაგება. იმ შემთხვევაში, როდესაც საზაფხულო იალაღებზე გასამგზავრებელ პირუტყვთა შორის რაიმე გადამდები სნეულებაა, საჭიროა, დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, გეგმა ითვალისწინებდეს ასეთი ფარების განკურნებამდე შეყოვნებას ან სულ ბოლო რიგში გამგზავრებას.

გზაფხულის სიცხეები დაიწყო. ცხვარს მიერეკებიან მთის საძოვრებზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელ რიგ კოლმეურნეობათა ცხვრის ფარები ამჟამად ალაზნის ველზე (წითელწყაროს რაიონი) და სხვა დაბლობ ადგილებშია ან სამთედ მგზავრობისათვის ამ მასივებზე გამოვლით მოედინებიან, მაშინ როდესაც შესაძლებელია ცხვრის ფარებისათვის შუამთა-მირზაანის (წითელწყაროს რაიონი), ტარიბანისა და ზილიჩის გორების, სოფლების ახლო მდებარე ტერიტორიის მასივებისა და სხვა მაღლობი ადგილების გამოყენება.

საჭიროა საზამთრო საძოვრებზე და საერთოდ დაბლობ ადგილებში დიდი სიცხეების დადგომამდე ცხვრის მაღალ, საგაზაფხულო გარდამავალ საძოვრებზე აყვანა. გარდამავალ საძოვრებზე ყოფნის მთელი პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საზაფხულო იალაღებზე ცხვრის მგზავრობისათვის მოსამზადებლად. ცხვარმა რომ შეძლოს მთაში მგზავრობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ სიძნელეთა ატანა, საჭიროა საგაზაფხულო გარდამავალ საძოვრებზე ცხვარს შეექმნას ნორმალური კვების, კარგი საძოვრების გამოყოფის, ძოვების ტექნიკის დაცვის, წესიერი დარწყულებისა და მოვლა-პატრონობის ყველა პირობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სუსტი, ცუდად ნაზამთრი და გალუბებული (გამხდარი) ცხვრის მოვლა-პატრონობას. საჭიროა ასეთი ცხვრის ცალკე გამოყოფა, უკეთესი საძოვრის შერჩევა და გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანა. ბარიდან საზაფხულო იალაღებზე გამგზავრებამდე მიზანშეწონილია ცხვრის მთელი სულადობის ზოოტექნიკურ-ვეტერინარული დამუშავება, ფარების გულდასმით დათვალიერება და შემოწმება. ცხვრის სამთედ მგზავრობის მთელ პერიოდში უნდა გავაძლიეროთ პირუტყვისადმი ზოოტექნიკურ-სავეტერინარო მომსახურება, გზებზე ალაგ-ალაგ სათანადო სპეციალისტებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფილი ზოოვეტპუნქტების მოწყობა და სხვ.

საზაფხულო იალაღებზე გამგზავრებამდე ყოველად შეუწყნარებელია ცხვრის ბარშივე წველა. მით უმეტეს ეს ითქმის მიმდინარე წლის პირობებში, როდესაც ცხვარი ცუდად ნაზამთრი და მეტად დასუსტებულია. ბარშივე ცხვრის წველით ხელოვნურად ვასუსტებთ დოლისა და ზამთრის ხუსხიანი პირობების გამო ისედაც დაუძლურებულ ცხვარს და ამის გამო მგზავრობის პირობები კიდევ უფრო ძნელი ხდება.

ცხვრის მგზავრობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საამისოდ საჭირო ტრანსპორტისა და ცოცხალი მუშა-პირუტყვის მზადყოფნას; საჭიროა ურმებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა დროულად შეკეთება, ურმების გადასახურავი მოწყობილობის გათვალისწინება, მუშა-პირუტყვის (ცხენი, ხარი) დასვენება, მათი დაჭედვა, ნალ-ლურსმნისა და საჭირო აკაზმულობის (კეხი, ქედანი, უნაგირი, მოსართავები და სხვ.) მომარაგება. კარგად გამართულმა ტრანსპორტმა უნდა უზრუნველყოს მწყემსთა საკვები პროდუქტების, ხელბარგის და სხვა საჭირო ინვენტარის საზაფხულო იალაღებზე ატანა. საჭიროა აგრეთვე მთაზე მგზავრობის მთელ მანძილზე სპეციალური ტრანსპორტის გამოყოფა გზაში დავარდნილი და ახალმოგებული (დაგვიანებით მოგებული) ცხვარ-ბატკნის გადასაყვანად.

ცხვრის საზაფხულო იალაღებზე მგზავრობის სწორი ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მწყემსთა ბრიგადების სწორად დაკომპლექტებას. მწყემსთა ბრიგადები უნდა დაკომპლექტდეს მცოდნე, გამოცდილი, ენერგიული და საქმისადმი თავდადებული, გულშემატკივარი ადამიანებით. აღსაკვეთია ამ საქმეში ისეთი საზიანო პრაქტიკა, როდესაც ბევრგან მხოლოდ ფერმების გამგეები ან ბრიგადირები ახდენენ მწყემსთა შერჩევას. საჭიროა თვით კოლმეურნეობათა გამგეობებმა ცხვრის მთაზე გამგზავრებამდე გულდასმით შეისწავლონ, შეარჩიონ მთაზე წამსვლელი მწყემსები და დაამტკიცონ ისინი გამგეობის სხდომაზე.

აქტუალური მნიშვნელობის საკითხია მთაზე მიმავალი მწყემსების მომარაგება ნაბდებით, ფარაჯებით, ფეხსაცმლითა და თბილი ტანსაცმლით. საჭიროა აგრეთვე მთაზე მიმავალ მწყემსთა ყველა საბუთის წესრიგზე მოყვანა. აუცილებელია აგრეთვე სათანადო დახმარება გაეწიოთ მწყემსთა ოჯახებს, რომლებიც ბარში რჩებიან. კოლმეურნეობები მათ პირველ რიგში უნდა დაეხმარონ.

მეტად აქტუალური საკითხია ცხვრის სამთედ მგზავრობისას მოძრავი სავაჭრო ფარდულების მოწყობა, სადაც მწყემსებს შეეძლებათ შეიძინონ ასანთი, თამბაქო, ძაფი, ნემსი, ჯიბის დანა, სარკე, სავარცელი, უბის წიგნაკი, ფანქარი, ფეხსაცმელი, საცვლები და სხვ.

მწყემსთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საჭიროა მგზავრობის მთელ მანძილზე ალაგ-ალაგ შეიქმნას სამედიცინო მომსახურების პუნქტები, მედიცინის მუშაკთაგან შემდგარი მოძრავი ბრიგადები.

მგზავრობაში მწყემსთა კულტურული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია კულტურისა და ხელოვნების მუშაკთაგან მოძრავი ბრიგადების შექმნა, დასასვენებელ ადგილებზე ლექცია-საუბრების მოწყობა, კონცერტების გამართვა, კინოსურათების ჩვენება.

საზაფხულო იალაღებზე ცხვრის მგზავრობის სწორი ორგანიზაციისათვის ფართოდ უნდა გავაჩაღოთ ბრიგადებსა და მწყემსებს შორის სოციალისტური შეჯიბრება, სააგიტაციო მუშაობა, გამოვუშვათ საველე გაზეთები, ფურცლები.

გვახსოვდეს, რომ ბარიდან საზაფხულო იალაღებზე ცხვრის მგზავრობის სწორ ორგანიზაციას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ცხვრის საზაფხულო იალაღებზე გამგზავრებამდე ცოტა დრო დარჩა. ცხვრის ფარები უკვე სამთედ მგზავრობისათვის გროვდებიან. საჭიროა ყოველი ღონისძიებით უზრუნველვყოთ საზაფხულო იალაღებზე ცხვრის წესიერი მგზავრობა.

დოცენტი ი. მოსაშვილი.

წერილები რედაქციას

დავიცვათ სისუფთავე

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საქონლის სადგურის ეზოში დიდძალი ხალხი იყრის თავს. აქედან ხდება მიღებული საქონლის გაცემა, გასაგზავნი საქონლის მიღება და სხვა ოპერაციები. აღსანიშნავია, რომ სადგურის ეზოში სისუფთავის დაცვას ყურადღებას არავინ აქცევს. უსუფთაობა ეზოს მისასვლელიდან იწყება. ეზოში დგას დამტვრეული უთავსახურო ნაგვის ყუთები. ამიტომ ქარიან ამინდში ნაგავი მთელ ეზოს ედება. აქა-იქ ყრია სამენი მასალის ნარჩენები, მაგრამ მათ გატანას არავინ ფიქრობს. წვიმიან ამინდში ეზოში ტალახის გუბეები დგება. სისტემატურად არ ხდება ეზოს დასუფთავება.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელობამ დროა იზრუნოს საქონლის სადგურის კეთილმოწყობისათვის.

ს. შევარდნაძე.

რატომ არა აქვს თბილისს ცნობათა ბიურო?

თბილისში ყოველდღიურად მრავალი მშრომელი ჩამოდის. დედაქალაქში მოდიან როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ისე ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან. მრავლად ჩამოდიან ექსკურსანტები და ტურისტები. ისინი სადგურიდანვე ეძებენ ცნობათა ბიუროს, მაგრამ ამაოდ, რადგან ასეთი რამ თბილისში საერთოდ არ არის.

თბილისში პირველად ჩამოსულმა ადამიანმა რომ გაიგოს, თუ სად არის ესა თუ ის ქუჩა, დაწესებულება, უახლესი სასტუმრო ან ტურისტული ბაზა, დიდი დრო უნდა დახარჯოს.

ამ საჭირბოროტო საკითხის შესახებ ბევრჯერ ითქვა, მრავალი დადგენილება დაიწერა, მაგრამ პრაქტიკული შედეგი ჯერ არა ჩანს.

განა შეიძლება ისეთ დიდ ქალაქს, როგორიც თბილისია, რამდენიმე ცნობათა ბიურო არ ჰქონდეს? საინტერესოა, საერთოდ ფიქრობს თუ არა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ამ საქმის მოგვარებას?

ი. მჭედლიშვილი.

ხოდაშნელთა კანონიერი მოთხოვნა

სოფელ ზემო ხოდაშენს (ახმეტის რაიონი) სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოუდის პატარა მდინარე ბერხევა. მართალია, იგი ზაფხულობით შრება, მაგრამ გაზაფხულობით ხშირი წვიმების დროს ადიდდება ხოლმე, ნაპირებზე გადმოდის და ზარალს აყენებს სოფელს, კოლმეურნეებს.

ეს მდგომარეობა კარგად იციან როგორც ახმეტის რაიონის ხელმძღვანელებმა, ისე თელავის წყალთა მეურნეობის სამმართველომ, მათ რამდენჯერმე კიდევაც იმსჯელეს და საკითხი საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინაშე დააყენეს, მაგრამ შედეგი არა ჩანს.

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ხოდაშნელთა კანონიერი მოთხოვნა და თავიდან აცილებულ იქნას წყალდიდობის შედეგად მოსალოდნელი ზარალი.

გ. ჩანგაშვილი.

ახალი ტექნიკის დანერგვის ფიდგან

თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე ენერგიულად გაანაღა მუშაობა სახელმწიფო დავალების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. განახორციელა რა სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის დავალება 117 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 111,6 პროცენტით. ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, 4,3 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება, 119,4 პროცენტით შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, დაზოგა 12,2 ტონა ნედლეული და 1.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ამ მაჩვენებლების მიხედვით ქარხნის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაწეულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიენიჭა მეორე პრემია. მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს ქარხნის მოწინავე ადამიანებმა ა. ჯანიაშვილმა, თ. ბაიდარაშვილმა, ი. ბონდარენკომ, ი. მარკოვმა და სხვებმა.

აღნიშნული საწარმოო მიღწევების მოპოვებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თამბაქოს ფერმენტაციის ტექნოლოგიის გაუმჯობესებამ. ამ მიზნით წელს ქარხანაში დაიდგა ინჟინერ ბაბენკოვის სისტემის 7 ავტომატ-რეგულატორი, რომლებიც ახდენენ საფერმენტაციო კამერებში ტემპერატურისა და სინესტის რეგულირებას. ამან შესამჩნევად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, აღმოფხვრა ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შემთხვევები, შეამცირა ნედლეულის დანაკარგები და გააადვილა ტექნოლოგის მუშაობა. ამჟამად მორიგე ტექნოლოგებს აღარ უხდებათ ტემპერატურის გასაზომად საფერმენტაციო კამერებში შესვლა, სადაც სიცხე 50-60 გრადუსს აღწევს.

ქარხნის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული სოხუმისა და ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნებთან და იბრძვის იმისათვის, რომ კიდევ უკეთესი საწარმოო გამარჯვებები მოიპოვოს მაისში და რაც შეიძლება მეტი მაღალი ხარისხის პროდუქცია დაამზადოს.

მ. გოგიბერიძე,
თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„პირველი ნაბიჯები. სერიოზული ნაკლოვანებანი“

საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიონულმა კომიტეტმა დადასტურებულად ცნო ფაქტები, რომლებიც მოყვანილი იყო „კომუნისტის“ 26 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში „პირველი ნაბიჯები, სერიოზული ნაკლოვანებანი“. წერილში გაკრიტიკებული იყვნენ პარტიის ბოლნისის რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკები სოფლის მეურნეობისადმი არადამაკმაყოფილებელი პარტიული ხელმძღვანელობისათვის.

პარტიის ბოლნისის რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი თამარისისა და ბოლნისის მტს-ების ზონებში მომუშავე ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობის გარდასამწყობად. თამარისის მტს-ის ზონის ინსტრუქტორი ამხ. აბუშვილი შეცვლილ იქნა გამოცდილი პარტიული მუშაკით. რაიკომის მდივანი ამხ. ე. მირაქოვი დროებით გადაყვანილია თამარისის მტს-ში, ხოლო რაიკომის მეორე მდივანს ამხ. შ. ქუტიძეს დაევალა უხელმძღვანელოს მუშაობას ბოლნისის მტს-ის ზონაში.

გამოუძვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა მთელი რიგი წლების მანძილზე ჩამორჩებოდა, ვერ ასრულებდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმებს. აქ იყო საკოლმეურნეო ქონების განიავების ფაქტები. ეს იმის შედეგია, სწერდა სოფლკორი მ. კირკიტაძე რედაქციას, რომ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობაში ახლო ნათესავები არიან მოკალათებულნი.

წერილში მოყვანილი ფაქტები შეამოწმა „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა. შედეგები განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ და დადასტურებულად ცნო მასში მხილებული ნაკლოვანებები. ამასთან ბიურომ აღნიშნა კოლმეურნეობაში აღრიცხვა-ანგარიშსწორების მოუწესრიგებლობის, საწყობის გამგეების თვითნებობის, სარევიზიო კომისიის სუსტი მუშაობისა და საგაზაფხულო სამუშაოებში სერიოზული ჩამორჩენის ფაქტები.

რაიკომის ბიურომ კოლმეურნეობაში ანგარიშსწორების არევდარევისა და საკოლმეურნეო ქონების განიავებისათვის თავმჯდომარეს დ. ხუჯაძეს გამოუცხადა საყვედური. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას რჩევა მიეცა სამუშაოდან მოხსნას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კ. ჭანკვეტაძე. გარდა ამისა, სამუშაოდან მოხსნილია უფროსი მოანგარიშე კ. იმნაძე, ხოლო საწყობის გამგე ნ. ჭანკვეტაძე და ფერმის გამგე გ. გოგბერაშვილი განთავისუფლებული არიან.

ბიურომ დასახა ღონისძიება კოლმეურნეობის სხვა ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველი რ. ცქიტიშვილი გვატყობინებდა, რომ ტყვარჩელში, მუშათა მოძარაგების განყოფილების ქსელში გაჭრობის წესებს ამახინჯებენ.

წერილი შესამოწმებლად და სათანადო ზომების მისაღებად გადაგზავნა ტყვარჩელის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს. ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. დამახინჯების დაშვებისათვის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს ამხ. გუდავაძეს და საწყობის გამგეს ამხ. გეგეჭკორს საყვედური გამოეცხადათ. ვაჭრობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქალაქო საბჭომ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

სატრაქტორო ბრიგადაში

ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ ამ დღეებში ულიანოვკის მტს-ის მექანიზატორები. გარდა სარემონტო სახელოსნოს რამდენიმე მუშისა და კანტორის ტექნიკური მუშაკისა, ყველანი მასობრივად გასულან მინდვრად სამუშაოდ.

— მიმდინარე წლის უზარ მოსავლის ბედი ახლა მინდორში წყდება. ვისაც კი რაიმე წვლილის შეტანა შეუძლია ამ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საქმეში, მინდორში, სატრაქტორო ბრიგადებშია წასული, — გადმოგვცეს მტს-ის კანტორაში.

— ხომ არ შეიძლება თქვენი საღისპეტჩერო სამსახურის მეშვეობით გავიგოთ, რომელ სატრაქტორო ბრიგადაში იქნება მტს-ის დირექტორი ან უფროსი აგრონომი?

— ამის შესახებ აქაც მოგახსენებთ. მტს-ის დირექტორი და უფროსი აგრონომი დილაადრიან წითელწყაროში წავიდნენ კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანების გადმოსატანად, ხოლო ინჟინერ-მექანიკოსი წნორში გაემგზავრა მინერალური სასუქების გადმოზიდვის დასაჩქარებლად.

— როგორ, წითელწყაროს რაიონმა უკვე შეასრულა კვადრატულ-ბუდობრივად თესვის გეგმა?

— ამბობენ, საერთოდ თესვის გეგმა შეასრულესო. კვადრატულ-ბუდობრივად თესვისა კი... ვერ გეტყვით. რომ დაბრუნდება, დირექტორს უკეთ ეცოდინება...

მტს-ის პარტბიუროს მდივანს ივანე ბიკაშვილს სარემონტო სახელოსნოს ტერიტორიაზე შევხვდით. იგი მუშებს ესაუბრებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებზე.

მან სიხარულით გადმოგვცა, თუ როგორი აღფრთოვანებით შრომობენ მექანიზატორები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ფრონტზე. ყველა ერთი აზრით, ერთი კეთილშობილური მისწრაფებით არის გამსჭვალული: მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში დაამთავროს საგაზაფხულო კულტურების თესვა, ნათესების დამუშავება და ჯეჯილის გამოკვება.

მტს-ის სახელოსნოს ვეებერთელა ეზო საუბრით გავიარეთ. ჩვენს თვალწინ გადაიშალა თვალუწვდენი ველი, რომლის ჰორიზონტზე მოჩანდა მომუშავე ტრაქტორის სილუეტი.

— მთელი ეს ფართობი, —გვიამბოს ამხ. ბიკაშვილი, — ეკუთვნის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობას „ლენინის გზით“. ახლა ჩვენი ბიჭები იქ ამთავრებენ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვას. ორიოდე დღეც, [illegible] გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ...

* * *

ამინდი სუსხიანი იყო. გაშლილ ტრამალებზე ქმენა ქარი ხეუხუნებდა. ზოგჯერ ისე წამოვიდოდა წვიმის ცივი წინწკლები, რომ მინდორში გაშლილ მექანიზატორებს და კოლმეურნეებს ჩაფიქრებდა ხოლმე: ე მანდ ღმერთი არ გაუწყრეს და თესვა არ შეგვაჩერებინოსო.

თესვა კი გრძელდებოდა. ტრაქტორის საჭეს უჯდა ოსტატურად მართავდა ტარიელ ბახტურიძე. მას ბრინჯაოსფერ სახეზე ხვიფე ოფლი გადასდიოდა. დროგამოშვებით მოისმოდა ტარიელის ხმა:

— კოლია, ვედროთი საწვავი მოიტანე, ნუ გამაჩერებინებ ტრაქტორს...

— კოლია, რადიატორი წყალს მოითხოვს, აბა დაიჩარე...

ტრაქტორისტის თანაშემწე მათზე მიმაგრებულ კოლმეურნესთან ერთად სწრაფად ახერხებდა თესვაზე მომუშავე ტრაქტორის უზრუნველყოფას საწვავითა და წყლით ისე, რომ მას გაჩერება არ სჭირდებოდა.

ასეთ მდგომარეობაში შევესწარით მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის მოწინავე ტრაქტორისტს ტარიელ ბახტურიძეს. აქვე იყვნენ კოლმეურნეობის წარმომადგენლები, რომელთაგან ზოგი კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანის „სუ-6“ მთავარი მომყვანის ბერკეტის გადაწევ-გადმოწევაზე მუშაობდა, ზოგიც საზობის მავთულის გადატანასა და მის ხელმეორედ დაჭიმვაზე.

ჩვენ გვაინტერესებდა გაგვეგო კოლმეურნეთა აზრი სიმინდის თესვის ამ პროგრესული მეთოდის შესახებ.

— ჯერჯერობით რა გვეთქმის, — გვიპასუხა კითხვაზე ჭაღარაშერეულმა კოლმეურნემ. — ჩვენთვის ახალია ამ მანქანით თესვა ჩვენს კოლმეურნეობაში. სწორედ გითხრათ, პირველად ძალიან გაგვიძნელდა, მარტო ჩვენ, გლეხებს კი არა, აი ჩვენს ტარიელსაც გაუჭირდა კვადრატულ-ბუდობრივად თესვა. მაგრამ ეს ახალი, დიდებული საქმეა და, როგორც მოგეხსენებათ, ყოველ ახალ საქმეს თავისი სიძნელეები აქვს...

კოლმეურნე ჩაფიქრდა და შემდეგ კვლავ განაგრძო:

— ალბათ გეხსომებათ, რა არ გადაგვხდა, როცა ცხრაას ოცდაათ წელს პირველ კოლმეურნეობას ვქმნიდით ჩვენს სოფელში. მერყევი პირები გაურბოდნენ მაშინ კოლმეურნეობას, ეგონათ — მორჩა, გათავდა საქმე, შიმშილით ამოგვხდება სულიო. სულ ცოტა ხანმა განვლო, და ყველამ გაიგო კოლმეურნეობის ფასი. ახლა საზოგადოებრივ შრომაში ერთმანეთს ეცილება — დიდი და პატარა... ეს მანქანაც ახალია. თესვით, მგონია, კარგად ვთესავთ, სწორ კვადრატებსაც ვიღებთ. აღმოცენებული კულტურის დროზე და კარგად დამუშავებით როცა დიდ მოსავალს მივიღებთ, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება.

— დაიცა, სანდრო, — შეეკამათა მეორე, უფრო ახალგაზრდა კოლმეურნე, — შენ როგორ უიმედოდ ლაპარაკობ! გუშინ მე კოლმეურნეობა „შრომის“ დათესილ ნაკვეთებს გადავხედე. იქ მზესუმზრაზე უკვე ამოსულია. იცი რამ გამაკვირვა? მართლაც კვადრატებია, კაცო! იმას, ჩემო კარგო, ჩვენი თოხი აღარ უნდა. გაუშვი ჩვენი ტარიელის და ბაბაკიანთ ნინოს მანქანები და ორ-სამ დღეში მთელ ნათესს ისე გათოხნიან, რომ ძირების შემოთოხნაც არ დასჭირდეთ. ვერ გაიგე, ადამიანო, პარტია და მთავრობა ჩვენს ჯანს უფრთხილდებიან, მძიმე ჯაფისაგან გვთავისუფლებენ, მაშა!

— ცუდად გაგიგია ჩემი პასუხი, ნიკო, ძალიან ცუდად, — იწყინა შეკამათება სანდრომ. — აქ მარტო მე და შენ როდი ვართ. ხალხი იმას ამბობს, რომ ახალ საქმეს დიდი მონდომება და სიყვარული ესაჭიროებაო. ახალი ტექნიკის დაუფლება ასე ადვილი როდია...

ტრაქტორი ერთხელ კიდევ შემობრუნდა. საზომი მავთული სწრაფად თანაბრად და სწორად დაჭიმეს, გაუმრუდებლად გადაატანეს საკონტროლო ხაზის მიმართ ფიქსატორის საშუალებით, მარკერები დააყენეს სათესზე ზუსტად გაანგარიშებული სიგრძით და მისცეს ნიშანი გადნეგრძოთ თესვა. ჩვენ ვაკვირდებოდით ტრაქტორისტ ტარიელ ბახტურიძის მუშაობას. მან ზუსტად დააყენა სათესი აგრეგატი წინათ გატარებული საწყისი ნათესი ხაზის პარალელურად და საკონტროლო ხაზის პერპენდიკულარულად, შემდეგ საჭირო სიჩქარით განაგრძო სვლა...

როდესაც სათესი მანქანა მთახლოვდა, კოლმეურნეებმა მხარზე წამოიკიდეს სამინდით სავსე ტომრები და მიიტანეს მანქანასთან. სანამ ტრაქტორი შემობრუნდებოდა, მათ მოასწრეს აუთვებში მარცვლის ჩაყრა. ტრაქტორმა გზა განაგრძო.

— ტრაქტორის შეუჩერებლად ვახდენთ სათესის აუთვებში მარცვლის ჩაყრას. ჩვენი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი დავით ნავროზაშვილი მტკიცედ მოითხოვს ამ წესის დაცვას, — განგვიმარტავს კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირი. ხოლო როცა შეგვატყო, რომ ნავროზაშვილის ნახვა გვინდოდა, ხელს გაშვერით მარჯვნივ მიგვითითა.

— სწორედ იქ არის სატრაქტორო ბრიგადა, აგერ, სადაც საველე პატარა ვაგონი მოჩანს. იქ უნდა იყოს ნავროზაშვილი.

დავით ნავროზაშვილი მართლაც ვაგონში იყო. აღმიიცხველთან ერთად რაღაცას ანგარიშობდა საწვავის ხარჯვის შესახებ.

სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ი. **სურათზე:** მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის მოწინავე მექანიზატორები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ტრაქტორისტი ტ. ბახტურიძე, ბრიგადირი დ. ნავროზაშვილი და ბრიგადირის თანაშემწე კ. ბოკოლიშვილი გეგმავენ სამუშაო დღეს.

— არ დაგავიწყდეს, შეაჯამე ეს მონაცემები და რაციით გადაეცი დირექციას.

— წერილობით მოითხოვენ, ამხანაგო დათიკო, წერილობით, თანაც დაწესებული ფორმის მიხედვით იყოსო.

— იქნებ ბეჭდის დასმითაც, — ღიმილით ამბობს ბრიგადირი, — თუმცა ჩვენ ეს არა გვაქვს. კარგი, ასე იყოს. ფილას წაიღე შენ თვითონ, დაწესებული ფორმის მიხედვით.

გავეცინით ბრიგადირს. ის ვაგონში იჯდა გახსნილი ჯუბით, ტალახში ამოსვრილი ჩექმებით. პირგაუპარსავი; ამ შემოხვევაში იგი ჰგავდა ხელოვნურად ბრძოლების შემდეგ ტანზეიდან ამოსულ დაღლილ მეომარს.

ვაგონში თვალსაჩინო ადგილზე დიდი პლაკატი იყო გამოკიდებული. მასზე ნახატებითა და სათანადო ტექსტით მოთხრობილი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროგრესული მეთოდით — კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის მნიშვნელობაზე. იქვე იდგა რადიოსადგური „უროკეი“ და რამდენიმე ყდაამძვრალი ბროშურა, ხოლო ვაგონის მარჯვენა მხარე გადატიხრული იყო. როგორც შემდეგ გადმოგვცეს, ის მექანიზატორთა დასაძინებელ ადგილს წარმოადგენდა.

ნავროზაშვილს ცოტა შერცხვა კიდეც, რომ სტუმრებმა ასეთ დროს მიუსწრეს „დაულაგებელ“ სახლში. მაგრამ უცბად სიმხნევე მოემატა და მოგვმართა:

— ნუ დაგვრახავთ. მინდორში ვართ, როგორც ბრძოლის ველზე. თუმცა აქ მშვიდობიანი შრომის ფრონტია, მაგრამ მაინც მინდორია, უამინდობა, ტალახი. უსუფთაობაც ამის შედეგია. ვერ მოვასწარით დალაგება.

— არა უშავს რა. თქვენ ეს გვითხარით, როგორ დაიწყეთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, განსაკუთრებით ახალი მანქანით მზესუმზრის და სიმინდის თესვა?

ბრიგადირმა აღმრიცხველს გადახედა, ჩანაწერების რეეული გადმოაღებინა და დაიწყო:

— წელს ზამთარი ძალიან გაგვიგრძელდა. ტრაქტორები და სხვა მისაბმელი ინვენტარი, დროზე შეკეთებული, ჯერ კიდევ თებერვალში მზად გვქონდა მინდორში გასაყვანად. მაგრამ უამინდობამ შეგვიწუხა გული. როგორც კი ოდნავ გამოიდარებდა, მაშინვე ჩვენი ბიჭები ტრაქტორის საჭეს მიუსხდებოდნენ ხოლმე და ხნავდნენ. ჩვენს ბრიგადას გეგმით საგაზაფხულო კულტურები უნდა დაეთესა სოფელ მაღაროს კოლმეურნეობებში 355 ჰექტარ ფართობზე, აქედან კვადრატულ-ბუდობრივი წესით მზესუმზირა და სიმინდი 170 ჰექტარზე. დღეისათვის მთელი დავალება გადაჭარბებით გვაქვს შესრულებული. ამ წარმატების მოპოვებაში სახელოვანი შრომით თავი ისახელეს ბრიგადის ისეთმა მოწინავე ტრაქტორისტებმა, როგორიც არიან ტარიელ ბახტურიძე, რომან მახარაშვილი, ვასილ მარკუშინი, ნინო ბაბაკიშვილი, ფედია ლობაჩოვი და სხვები. სატრაქტორო ბრიგადის მედროშე მაინც ტარიელ ბახტურიძეა, რომელიც დღეში კვადრატულ-ბუდობრივად 16-17 ჰექტარ მზესუმზირას და სიმინდს თესავდა.

— დღევანდელი შედეგების მიხედვით ნავროზაშვილის ბრიგადა სჯობნის მესამე ბრიგადას, რომელთანაც შეჯიბრებაშია ჩაბმული, — გვითხრა მტს-ის დირექტორმა ამხ. ა. ბიწაძემ.

— ხვნა-თესვაში გამარჯვება — ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავ

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 8 მაისი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი შეუდგა დღის წესრიგის მეორე პუნქტის — ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვას.

თათბირის პირველ სხდომაში ინდოჩინეთის საკითხის განხილვისას მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ბიდომ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. იდენმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ბ. სმიტმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფამ ვან დონგმა, სამი მიმხრობილი სახელმწიფოს — ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ზემოხსენებული ქვეყნების დელეგაციების მრჩევლებმა და ექსპერტებმა.

წინასწარ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის სხდომებზე, რომლებიც მიეძღვნება ინდოჩინეთის საკითხის განხილვას, თავმჯდომარეობას რიგრიგობით გასწევენ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

თათბირის პირველი სხდომა გახსნა როგორც თავმჯდომარემ, ზემოხსენებული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. იდენმა. მოკლე შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ამოცანა, რომელიც დასახულია თათბირის მონაწილეთა წინაშე, ჩამოყალიბებულ იქნა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე; ეს ამოცანაა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენა. იქვე აღნიშნა, რომ ეს სასწრაფო და დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა და იმედი გამოთქვა, რომ თათბირი მალე მიაღწევს კონკრეტულ და პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს.

თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ თათბირის ოფიციალური ენები იქნება ფრანგული, რუსული, ინგლისური და ჩინური. გადაწყდა, რომ სხდომებს დაესწრებიან მხოლოდ თათბირის მონაწილენი.

ამის შემდეგ დაიწყო დისკუსია.

პირველი გამოვიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ბიდო.

ბიდომ თავისი სიტყვის დასაწყისში „მწუხარება“ გამოთქვა იმის გამო, რომ ბრძოლა დიენ-ბიენ-ფუსათვის გაჩაღდა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის შემდეგ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება განიხილონ ჟენევის თათბირზე ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხი. ბიდომ განაცხადა, რომ „ამ თათბირის თვით პერსპექტივას უნდა აეძულებინა ზარბაზნები დადუმებულიყვნენ“, თუმცა ცნობილია, რომ ეს მთლიანად დამოკიდებული იყო საფრანგეთის მთავრობაზე, რამდენადაც დიენ-ბიენ-ფუსათვის ბრძოლა იყო ნაწილი სამხედრო გეგმისა, რომელიც შეადგინა ფრანგმა გენერალმა ნავარმა და რომელიც მიიწონეს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა. ეს გეგმა ითვალისწინებდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალებზე სამხედრო გამარჯვებას მოკლე ვადაში.

ბიდომ განაცხადა, რომ ისეთი მოვლენა, როგორიც არის ბრძოლა დიენ-ბიენ-ფუსთან, „კატეგორიულად უკარნახებს საფრანგეთის დელეგაციას მისი მოქმედების ხაზს“ ამ თათბირზე დაწყებულ მოლაპარაკებში. ეს „მოქმედების ხაზი“, როგორც ბიდოს შემდგომი განცხადებიდან ჩანს, ემყარება იმ წინაპირობას, რომ ომი ინდოჩინეთში თითქოს თავს მოიხვევს საფრანგეთს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ნამდვილ ფაქტებს. ცნობილია, რომ ომი ინდოჩინეთში გამოიწვია საფრანგეთის მმართველი წრეების მისწრაფებამ ჩაეხშოთ ინდოჩინეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და განემტკიცებინათ მსოფლიოს ამ რაიონში საფრანგეთის კოლონიური ბატონობა.

თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩამოაყალიბა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საწინააღმდეგო, დამაბინძურებული ისტორია ვიეტნამში მოვლენების განვითარებისა იმის შემდეგ, რაც ვიეტნამის ხალხი აღდგა სამართლიანი ბრძოლისათვის კოლონიური დამონებლების წინააღმდეგ, თავისუფლებისა და თავის კანონიერ ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფისათვის.

ბიდო თათბირს არწმუნებდა, რომ საფრანგეთის მთავრობა თითქოს წუდამ ცდილობდა ბოლო მოეღო სამარი მოქმედებისათვის ინდოჩინეთში, თუმცა სინამდვილეში იგი ინდოჩინეთის საკითხის განხილვას ჟენევის თათბირზე დაეთანხმა სწორედ იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა ჩიხში მოექცა, წაწყდა რა ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას, რომელიც აღდგა თავისი დამოუკიდებელი ეროვნული არსებობის უფლების დასაცავად. ბიდოს სიტყვაც კი არ დაუძრავს იმაზე, რომ საფრანგეთმა 1946 წლის 6 მარტს ხელი მოაწერა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეთანხმებას, რომლითაც მან ცნო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ცნობილია, რომ საფრანგეთმა ვერაგულად დაარღვია ეს შეთანხმება, დაიწყო რა ომი ინდოჩინეთში.

ბიდომ განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაციის წინადადებაა — თათბირმა უშინარეს ყოვლისა მიიღოს პრინციპი „ინდოჩინეთში სამარი მოქმედების საერთო შეწყვეტისა უშიშროების საჭირო გარანტიებზე დაყრდნობით“. იგი ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება ერთნაირად მივუდგეთ სიტუაციას ინდოჩინეთის ყველა სახელმწიფოში, და ისე სახავდა საქმეს, რომ ლაოსსა და კამბოჯაში თითქოს ხდება „შეპრანიის გამოუცხადებლად“, თუმცა ნამდვილად ამ სახელმწიფოებში, ისევე როგორც ვიეტნამში, გაჩაღებულია ამ ქვეყნების ხალხთა ბრძოლა საფრანგეთის კოლონიური ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვან ინდოჩინეთის ხალხებს.

ბიდომ საფრანგეთის დელეგაციის სახელით შეიტანა წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ შემდეგ ღონისძიებებს: ვიეტნამის მიმართ — „ჯარების გადაჯგუფება და თავმოყრა“ იმ ზონებში, რომლებსაც თათბირი განსაზღვრავს მთავარსარდალთა წინადადებით; „იმ ელემენტების განიარაღება, რომლებიც არც არმიას ეკუთვნიან, არც წესრიგის დამცველ ძალებს“; სამხედრო ტყვეთა და ინტერნირებულ სამოქალაქო პირთა განთავისუფლება; საერთაშორისო კონტროლი ამ პირობების შესრულებისადმი. საფრანგეთის დელეგაციის წინადადებათა ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს სამთარი მოქმედების შეწყვეტას შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან. ამ პუნქტში აღნიშნულია, რომ ჯარების გადაჯგუფება და მათი განიარაღება უნდა დაიწყოს შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან რაღაც გარკვეული დღეების შემდეგ.

რაც შეეხება კამბოჯასა და ლაოსს, საფრანგეთის დელეგაციის წინადადებანი ითვალისწინებენ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიების ფაქტიურ განიარაღებას „ვიეტმინის (ასე უწოდებენ საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას) მთელი რეგულარული და არარეგულარული ძალების ევაკუაციის“ სახით, რომლებიც თითქოს შეიჭრნენ ლაოსსა და კამბოჯაში, აგრეთვე „იმ ელემენტების განიარაღების სახით, რომლებიც არ ეკუთვნიან არც არმიას, არც წესრიგის დამცველ ძალებს“. საფრანგეთის წინადადებებში, რომლებიც კამბოჯასა და ლაოსს შეეხება, ლაპარაკია აგრეთვე სამხედრო ტყვეთა და ინტერნირებულ სამოქალაქო პირთა განთავისუფლებაზე, ამ პირობების შესრულებისადმი „საერთაშორისო კომისიების“ კონტროლზე. დასასრულ ნათქვამია, რომ ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის შესახებ შეთანხმებათა შესრულება“.

შემდეგ გამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფამ ვან დონგი.

ფამ ვან დონგის განცხადება

ჩვენი თათბირის მიზანია, განაცხადა მან, განიხილოს ინდოჩინეთში სამარი მოქმედების შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის საკითხი.

ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ საკითხის გადაჭრაზე დამოკიდებულია ინდოჩინეთის ხალხთა ბედი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და აზიის ხალხთა მშვიდობა და უშიშროება, მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

ინდოჩინეთის ხალხებს სურთ ინდოჩინეთში სამარი მოქმედების შეწყვეტა და მშვიდობის აღდგენა და განზრახული აქვთ მოლაპარაკების გზით განახორციელონ თავიანთი ეროვნული უფლებანი. საფრანგეთის ხალხი და საფრანგეთის თითქმის ყველა პოლიტიკური წრე მოითხოვენ მშვიდობის აღდგენას ინდოჩინეთში. ინდოჩინეთის ხალხებს და ფრანგ ხალხს სურთ მეგობრული ურთიერთობის დამყარება საფრანგეთსა და ინდოჩინეთის ქვეყნებს შორის.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და აზიის ხალხებს სურთ ბოლო მოუღონ ომს და აღადგინონ მშვიდობა ინდოჩინეთში, რადგან ინდოჩინეთის ომი საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და აზიაში. ამჟამად ეს საფრთხე უფრო სერიოზული და თვალსაჩინო ხდება იმათი მიზეზით, ვინც მომხრეა გაგრძელდეს და გაფართოვდეს ომი ინდოჩინეთში. აი ამიტომ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და აზიის ხალხები კიდევ უფრო გადაჭრით მოითხოვენ სამარი მოქმედების შეწყვეტას და მშვიდობის აღდგენას ინდოჩინეთში.

მთელი მსოფლიოს ხალხებს სურთ ომის შეწყვეტა და მშვიდობის აღდგენა ინდოჩინეთში, რათა შენელდეს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა და განმტკიცდეს მშვიდობა დედამიწაზე. მთელი მსოფლიოს ხალხთა მოწონებითა და მხარდაჭერით ჩვენს თათბირს ხელსაყრელი პირობები აქვს იმისათვის, რომ წარმატებით გადაჭრას ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის პრობლემები.

ყველაფერს, რასაც შეუძლია ხელი შეგვიწყოს ამ ამოცანის გადაჭრაში, უნდა მივესალმოთ და არავითარი საბაბით არ უარვყოთ.

სწორედ იმიტომ, რომ ვითვალისწინებთ ნათქვამს და გამოვხატავთ ვიეტნამის, კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხთა გრძნობებს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას წინადადება შემოაქვს თათბირზე მოვიწვიოთ კხმერის წინაადმდეგობის მთავრობის და პატეტ-ლაოს წინაადმდეგობის მთავრობის ოფიციალური დელეგატები თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ეს წინადადება შემოგვაქვს შემდეგი მოტივებით:

ინდოჩინეთში სამარი მოქმედების შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის საკითხთან დაინტერესებული არიან ინდოჩინეთის ხალხები, ვიეტნამელი ხალხი ისევე, როგორც კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხები. მრავალი წლის განმავლობაში კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხები ვიეტნამელ ხალხთან მჭიდრო კავშირით გმირულად იბრძოდნენ მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, ერთიანობისა და დემოკრატიისათვის.

ამ ბრძოლის პროცესში კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხებმა შექმნეს კხმერის წინააღმდეგობის მთავრობა და პატეტ-ლაოს წინააღმდეგობის მთავრობა. ამ წინააღმდეგობის მთავრობათა ხელმძღვანელობით კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხებმა გათავისუფლეს ეროვნული ტერიტორიის დიდი რაიონები. წინააღმდეგობის მთავრობებმა განახორციელეს ღონისძიებანი, რათა შეექმნათ დემოკრატიული ხელისუფლება და გაეუმჯობესებინათ მოსახლეობის ცხოვრების დონე განთავისუფლებულ რაიონებში.

აი ამიტომ, როგორც კხმერის წინააღმდეგობის მთავრობას, ისე პატეტ-ლაოს წინააღმდეგობის მთავრობას მხარს უჭერს და იგი მხურვალედ უყვარს განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობას, მათ დიდი პრესტიჟი და გავლენა აქვთ მთელი თავიანთი ქვეყნის მოსახლეობაში. მაშასადამე, ეს მთავრობები წარმოადგენენ კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხთა დიდ ნაწილს და გამოხატავენ მათს ეროვნულ მისწრაფებებს. აი ამიტომ საჭიროა ამ მთავრობათა ოფიციალური დელეგატების დასწრება ამ თათბირზე, რომლის ამოცანას წარმოადგენს ინდოჩინეთში სამარი მოქმედების შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის პრობლემების გადაჭრა. ისევე როგორც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა, კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხები და წინაადმდეგობის მთავრობები თანახმანი არიან მოლაპარაკება გამართონ, რათა ბოლო მოუღონ ომს და დაამყარონ მშვიდობა ინდოჩინეთში, აგრეთვე მიაღწიონ თავიანთი ეროვნული უფლებების — დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და დემოკრატიის განხორციელებას.

ამა წლის მარტის მეორე ნახევარში კხმერისა და პატეტ-ლაოს წინაადმდეგობის მთავრობათა საგარეო საქმეთა მინისტრებმა თავიანთ განცხადებებში მოიწონეს ბერლინის თათბირის გადაწყვეტილება ჟენევის თათბირის მოწვევის შესახებ.

ზემოთ მოყვანილი მოტივების გამო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია დარწმუნებულია, რომ კხმერისა და პატეტ-ლაოს წინაადმდეგობის მთავრობების ოფიციალურ დელეგატთა დასწრება, რომლებიც თათბირს მოახსენებდნენ მათი ხალხების მისწრაფებებსა და წინადადებებს, სრულიადაც არ დააბრკოლებს ჩვენს თათბირს, არამედ, პირიქით, მისი წარმატების კიდევ ერთი გარანტია იქნება.

ასეთია მოთხოვნა არა მარტო ინდოჩინეთის ხალხებისა, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისაც, ისევე როგორც ყოველი მშვიდობისმოყვარე ადამიანისა, რომელსაც ნამდვილად სურს გადაიჭრას ინდოჩინეთში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის პრობლემა.

ამიტომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას წინადადება შემოაქვს, რომ თათბირმა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

„ინდოჩინეთის ქვეყნებში ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით და ინდოჩინეთში სამარი მოქმედების შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის საკითხის ფართო და ობიექტური განხილვის ინტერესებისათვის,

თათბირს საჭიროდ მიაჩნია მოწვეულ იქნან კხმერისა და პატეტ-ლაოს წინააღმდეგობის მთავრობათა წარმომადგენლები თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენას“.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბ. სმიტმა გაილაშქრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ თათბირში მონაწილეობისათვის მოწვეულ იქნან კხმერისა და პატეტ-ლაოს წინააღმდეგობის მთავრობათა ოფიციალური დელეგატები. სმიტი შეეცადა თავისი პოზიცია დაესაბუთებინა იმ „მისაზრებით“, თითქოს არ არსებობს პატეტ-ლაოს და კხმერის სახელმწიფოები. მან განაცხადა, რომ თუ იქნებიან მსურველები გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მოითხოვს დაიხუროს სხდომა, რათა კხმერისა და პატეტ-ლაოს წარმომადგენელთა მოწვევის საკითხი განხილულ იქნას ბერლინის თათბირის მონაწილე ოთხი სახელმწიფოს დელეგატებს შორის.

შემდეგ გამოვიდა ჯოუ ენ-ლაი, რომელმაც აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოზიციის სრული უსაფუძვლობა.

მე მიმაჩნია, განაცხადა ჯოუ ენ-ლაიმ, რომ ჩვენს თათბირს უფლება აქვს განიხილოს თავისი შემადგენლობის საკითხი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია სავსებით უპერს მხარს ბ-ნ ფან ვან დონგის თვალსაზრისს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისი თვალსაზრისი და მისი წინადადება გონივრული და სამართლიანია, და მოვითხოვთ, რომ თათბირმა მიიღოს ეს წინადადება.

შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა.

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

„ჩვენი თათბირი, — თქვა მოლოტოვმა, — იწყებს ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვას.

დღის წესრიგის ამ პუნქტის თვით ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენმა თათბირმა უნდა განიხილოს ინდოჩინეთის სამივე სახელმწიფოში — ვიეტნამში, კხმერსა და პატეტ-ლაოში მშვიდობის აღდგენის საკითხი. სავსებით ცხადია, რომ ჩვენი თათბირის წარმატებითი მუშაობისათვის მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ. ვიეტნამის მომართ ეს უკვე აღიარეს ამ თათბირის მონაწილეებმა, რის შედეგიც არის ჩვენს შორის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა ყოფნა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი წარმოებს არა მარტო ვიეტნამში, არამედ აგრეთვე პატეტ-ლაოსა და კხმერში. ამ ქვეყნების ხალხები, ისევე როგორც ვიეტნამელი ხალხი, აგრეთვე ეწევიან ბრძოლას თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული ერთიანობისა და თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლის მსვლელობაში კხმერსა და პატეტ-ლაოში შეიქმნა დემოკრატიული მთავრობები, რომლებიც მეთაურობენ ამ ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმთავისუფლებელ ბრძოლას. პატეტ-ლაოსა და კხმერის მნიშვნელოვანი ტერიტორია ამჟამად ამ დემოკრატიული მთავრობების კონტროლშია.

ჩვენს თათბირზე უკვე მოწვეული არიან კხმერისა და პატეტ-ლაოს იმ მთავრობების წარმომადგენლები, რომლებიც საფრანგეთის ხელისუფლებთან თანამშრომლობენ. ასეთ პირობებში არ არსებობს არავითარი საფუძველი უარი ვუთხრათ ამ თათბირში მონაწილეობაზე პატეტ-ლაოსა და კხმერის იმ მთავრობათა წარმომადგენლებს, რომლებიც ამ ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მეთაურობენ.

პატეტ-ლაოსა და კხმერის საკითხების განხილვას ამ ქვეყნების დემოკრატიულ მთავრობათა წარმომადგენლების მონაწილეობის მიუღებლად ცალმხრივი ხასიათი ექნება, რამაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ჩვენი თათბირის მუშაობაზე. ამ თათბირის მუშაობაში პატეტ-ლაოსა და კხმერის დემოკრატიულ მთავრობათა წარმომადგენლების მონაწილეობა შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავერკვეთ იმ ამბებში, რომლებიც ამ ქვეყნებში ხდება, და ხელს შეგვიწყობს გამოვძებნოთ პატეტ-ლაოსა და კხმერში მშვიდობის აღდგენის გზები.

ნათქვამის გამო საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებას ჩვენს თათბირში მონაწილეობის მისაღებად პატეტ-ლაოსა და კხმერის დემოკრატიულ მთავრობათა წარმომადგენლების მოწვევის შესახებ“.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა რამდენიმე შენიშვნა გააკეთა სხდომაზე წარმოთქმული სიტყვების გამო. შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლას, რომელმაც გამოთქვა თავისი მოსაზრებანი ამ თათბირში ცალკეულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ, მოლოტოვმა განაცხადა, რომ მას, როგორც ბერლინის თათბირის ერთ-ერთ მონაწილეს, სურს გამოთქვას თავისი მოსაზრებანი ამის გამო. მან მოიყვანა ის ადგილი კომუნიკედან ბერლინის თათბირის შესახებ, რომელიც ინდოჩინეთის საკითხს შეეხება და რომელშიც აღნიშნულია, რომ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხს განიხილავს თათბირი, რომელზეც მოწვეულ იქნებიან სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების წარმომადგენლები.

ამრიგად, თქვა მოლოტოვმა ბერლინის კომუნიკეში პირდაპირ ჩამოთვლილია ხუთი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, სსრ კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — და არ არის გათვალისწინებული რაიმე გამონაკლისი რომელიმე ქვეყნისათვის, რომელიც დასახელებულია ბერლინის კომუნიკეში, ან განსაკუთრებული მდგომარეობა აღნიშნულ ხუთთაგან რომელიმე სახელმწიფოსათვის. კომუნიკე მხოლოდ ითვალისწინებს, რომ, ამ ხუთი სახელმწიფოს გარდა, მოწვეულ იქნებიან სხვა დაინტერესებული სახელმწიფოებიც.

ბუნებრივია, განაგრძო მოლოტოვმა, რომ საჭიროა შეთანხმება იმაზე, თუ ვინ მიგვაჩნია ამ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებად. საბჭოთა დელეგაციის აზრით, უწინარეს ყოვლისა, კომუნიკეში ჩამოთვლილი ხუთი სახელმწიფოს მოვალეობაა შეთანხმდნენ ამის შესახებ. სწორედ ამასთან დაკავშირებით ამ დღეებში ჟენევაში გაიმართა ამ საკითხის განხილვა და როგორც დასავლეთის სამ სახელმწიფოს — საფრანგეთის, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ისე, მეორე მხრივ, ორ სახელმწიფოს — სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ თათბირზე მოგვიწვია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. იგი უკვე იმყოფება მოწვეულთა შორის, ჩვენს შორის.

ვ. მ. მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოწვევა, რომელიც გაეგზავნა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ერთად გადასცეს საბჭოთა კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. ამ სახელმწიფოების დელეგაციები დათანხმდნენ ინდოჩინეთის სამი სახელმწიფოს მოწვევას, რომლებიც აგრეთვე ესწრებიან სხდომას. ამის წინააღმდეგ არ გამოსულა ბერლინის კომუნიკეში ჩამოთვლილი არც ერთი სახელმწიფო.

შემდეგ მოლოტოვმა აღნიშნა, რომ სხდომის დამსწრე თვითეულ დელეგაციას უფლება აქვს, თუ ამისათვის მას საფუძველი მოეპოვება, შემოიტანოს წინადადება სხვა სახელმწიფოების მოწვევის შესახებ, რომლებიც აქ არ არიან. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას სავსებით კანონიერად მიაჩნია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადება და ფიქრობს, რომ ამ წინადადებას შეიძლება მოვეკიდოთ და უნდა მოვეკიდოთ დადებითად.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის შენიშვნას, რომ სასურველია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადება ამ სხდომაზე არ განვიხილოთო, ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია ამ შენიშვნას მთელი ყურადღებით ეკიდება. საბჭოთა დელეგაცია, განაცხადა მოლოტოვმა, არ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადების წინააღმდეგი, რადგან ფიქრობს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადების განხილვაში მონაწილეობას მიიღებს არა მარტო ოთხი სახელმწიფო, არამედ ყველა ის სახელმწიფო, რომელიც მოხსენებულია ბერლინის კომუნიკეში, ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მოლოტოვმა განაცხადა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადების განხილვის ფორმა შეიძლება ისე გამოინახოს, რომ ზიანი არ მოუვიდეს ვინმეს, და იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა დელეგაციის წინადადებას დაეთანხმებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელმაც მას მხარი დაუჭირა.

* * *

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბიდომ, რომელიც იმ წინადადების წინააღმდეგ წავიდა, რომ მოიწვიონ კხმერისა და პატეტ-ლაოს წარმომადგენლები. მაგრამ მან განაცხადა, რომ არ არის იმის წინააღმდეგი, რომ სხდომა დაიხუროს და ამ საკითხის განხილვა გადაიდოს. ასეთივე თვალსაზრისი გამოთქვა ოდენმაც. ამასთანავე იგი ამტკიცებდა, თითქოს თათბირში მონაწილეობის მისაღებად ამა თუ იმ სახელმწიფოს მოწვევის საკითხი შეიძლება განიხილონ მხოლოდ იმ ოთხი სახელმწიფოს წარმოამდგენლებმა, რომლებიც ბერლინის თათბირში მონაწილეობდნენ, თუმცა როგორც ეს დამაჯერებლად ცხადყო მოლოტოვმა, იმაზე შეთანხმების მოვალეობა, თუ ვინ უნდა იქნეს მოწვეული დამატებით ინდოჩინეთის საკითხზე თათბირში მონაწილეობის მისაღებად, ეკისრება ბერლინის თათბირის კომუნიკეში მოხსენებულ ხუთ სახელმწიფოს, სახელდობრ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს, სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

შემდეგ სიტყვა აიღო ერთ-ერთი მიმხრობილი სახელმწიფოს — კამბოჯის წარმომადგენელმა. მთელი მისი სიტყვა იმით ამოიწურა, რომ გაიმეორა სტანდარტული ცილისწამება კხმერის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, ცილისწამება, რომელიც აშკარად ამოღებულია კოლონიზატორთა პროპაგანდისტული არსენალიდან. კამბოჯის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა იმას, რომ უარყოფილ იქნას წინადადება ინდოჩინეთის საკითხზე თათბირში მონაწილეობის მისაღებად კხმერისა და პატეტ-ლაოს მიწვევის შესახებ. მან განაცხადა, რომ თუ ეს წინადადება შესწავლილ უნდა იქნას, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ოთხი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისისა და სსრ კავშირის თათბირზე.

ჯოუ ენ-ლაიმ მეორედ წარმოთქვა სიტყვა და კვლავ ხაზგასმით აღნიშნა საფრანგეთისა და კამბოჯის წარმომადგენელთა პოზიციის უსაფუძვლობა. მან თქვა, რომ ეს პოზიცია კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის უარყოფაა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, განაცხადა ჯოუ ენ-ლაიმ, ვერ დაეთანხმება ასეთ აზრს და მხარს უჭერს საბჭოთა დელეგაციის წინადადებას, რომ ხუთი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ამ სხდომის გარეთ განიხილონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადება.

ჯოუ ენ-ლაის შემდეგ გამოვიდა ფამ ვან დონგი. დაიცვა რა თავისი წინადადება, მან ცხადყო, თუ რამდენად უაზრო და უნიადაგოა ამის მტკიცება, თითქოს კხმერი და პატეტ-ლაო „აჩრდილები“ იყვნენ.

მაგონდება, თქვა ფამ ვან დონგმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ სხდომაზე საფრანგეთის წარმომადგენელი ასევე ამტკიცებდა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა „აჩრდილიაო“. ამაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა უპასუხა, თუ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა „აჩრდილია“, მაშ საფრანგეთი რატომ გზავნის თავის ჯარებს ვიეტნამში? განა ეს ჯარები ვიეტნამში აჩრდილებს ეომებიან? ეს „აჩრდილები“. თქვა ფამ ვან დონგმა, უკვე მრავალი წელია იბრძვიან და მოსპეს მეტი წილი საფრანგეთის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც ვიეტნამში გაიგზავნა. ფამ ვან დონგმა განაცხადა, მტკიცედ მოვითხოვ, რომ ჩემი წინადადება განიხილონ ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დელეგაციამ მოითხოვა.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ იდენმა განაცხადა, რომ დღევანდელ სხდომაზე ძნელი იქნება იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინ უნდა განიხილოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადება, ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა თუ ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. იდენმა წინადადება შეიტანა დაიხუროს სხდომა და კამათის განსაგრძობად შეიკრიბონ ორშაბათს.

ამის შემდეგ გამოვიდა ლაოსის წარმომადგენელი, რომელიც იმის წინააღმდეგ წავიდა, რომ თათბირში მონაწილეობის მისაღებად მიწვიონ პატეტ-ლაო. იდენის წინადადება მიიღეს და სხდომა დამთავრდა.

ლატვიისა და საქართველოს პარადი. ქვევით (მარცხნიდან)—ნ. დვალიშვილის მეძლეოსანთა მატჩი. სურათებზე: ზევით — სპორტსმენთა დაჯილდოება დიპლომით; 1.500 მეტრზე რბენის მომენტი; ჭოკით სიმაღლეზე ხტომა. ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. გინზბურგისა.

ლატვიისა და საქართველოს მძლეოსანთა შეხვედრა

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 8 მაისს გაიხსნა ლატვიისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკების მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივების შეჯიბრება.

ასპარეზობა დაიწყო სპრინტერ ქალთა გამოსვლით. 100 მეტრის ფინიშის ზოლი პირველად გაარღვია საქართველოს მძლეოსანთა კოლექტივის წარმომადგენელ